ოქმი:**ო63. 63241722**
თარიღი:**20/06/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 11

ქ. სამტრედია. 14 ივნისი, 2024 წელი.

2024 წლის 14 ივნისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ზაზა ადეიშვილი, დავით ჯანელიძე, გოჩა არველაძე, პაატა კოხრეიძე, ბექა თევზაძე,

ლიზა კრავეიშვილი, ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ბადრი შენგელია, გრიგოლ ჩიგოგიძე, გივი ჯულაყიძე, კობა ძიძიგური, დავით ნიკოლეიშვილი, აკაკი მინაშვილი, ავთანდილ თადუმაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. გაზეთ ,,სამტრედიის მაცნე''-ს პასუხისმგებელი მდივანი, ლევან გაბეჩავა.
2. ტელეკომპანია ,,ზარი''-ს წარმომადგენლები.
3. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი. მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტები: ნატო ჯულაყიძე, ბეჟან გოგია.

ბატონო კოლეგებო, ქალბატონებო! მშვიდობიანი დღე მინდა გისურვოთ ყველას, სრულიად საქართველოს. დამერწმუნეთ, არ ვფიქრობდი რიგგარეშე საკრებულოს სხდომას, ასეთი მწარე გულისტკივილით თუ დავიწყებდით. კარგად მოგეხსენებათ, რომ ბატონი ილია იმიერში გადაბრძანდა. ამიტომაც დღევანდელი დღე მწუხრის დღეა. ბატონი ილო თავისი ქართველობით, კაცობით მე გავიცანი 2012 წელს. გულსატკენია ის, რომ ასეთი ადამიანები ნაადრევად მიდიან. უღრმეს მადლობას მოგახსენებთ მწუხარების გაზიარებისათვის, კიდევ ერთხელ საკრებულოს სახელით სამძიმარს ვუცხადებთ მის ახლობლებს, მეგობრებს, შვილებს. უფალი ინებებს, ასეთი მწუხრის, ასეთი არასაიამოვნო საქმისათვის საკრებულო არ შეკრებილიყოს. გთხოვთ, წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ, ქართველი კაცის მარადიულ ხსოვნას. გვერდს ვერ ავუვლით რეგლამენტის მიხედვით განსაზღვრულ საკითხს. წარმოგიდგენთ სხდომის დღის წესრიგს.

სხდომის თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 ივნისის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის ,,ბ.ი'' ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად , განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 ივნისის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 ივნისის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისათვის, უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

   /მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

2. სხვადასხვა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 ივნისის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ''.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისათვის, უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2024 წლის 12 ივნისს, ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომაზე განხილულ იქნა საკრებულოს წევრის, ილია მჟავიას, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. როგორც ვიცით, საკრებულოს წევრი, ილია მჟავია, გარდაიცვალა 2024 წლის 11 ივნისს.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ზ''ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'', 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილების მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტის და მე-6 პუნქტის შესაბამისად, იურიდულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ მიიღო დასკვნა და წარმოადგინა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, ილია მჟავიას, შეუწყდეს საკრებულოს წევრის უფლებამოსილება 2024 წლის 12 ივნისიდან.

- ცნობად იქნას მიღებული, ილია მჟავიას, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი.

აზრი გამოთქვეს: ტარიელ დვალიშვილმა, გიორგი ლეჟავამ, ჯონი ახობაძემ, დავით ნიკოლეიშვილმა, აკაკი მინაშვილმა, ზაზა ადეიშვილმა, ლიზა კრავეიშვილმა.
გამომსვლელებმა დიდი მწუხარებით და გულწრფელობით გამოხატეს სამძიმარი კოლეგების, მეგობრების, ოჯახისა და ახლობელი ადამიანების მიმართ. ისაუბრეს ილია მჟავიას პროფესიონალიზმის, კარგი კაცობის,

მეგობრობის შესახებ. აღინიშნა ის ფაქტი, რომ ილია მჟავიამ, საკუთარი საცხოვრებელი სახლი დაუთმო ტოლების საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს, სახლიდან გამოიტანა პიანინო და აჩუქა ბაღს. იყო სხვისი ჭირის და ლხინის გამზიარებელი, ერთ-ერთი კარგი მაჟორიტარი დეპუტატი, უანგარო და ხალასი მეგობარი, ბევრი სიკეთის და მადლის მკეთებელი. ნათელი მის ხსოვნას.

ლიზა კრავეიშვილი - ფაქტის წინაშე ვდგევართ. სამძიმარს ვუხდი ყველას, ოჯახს, საკრებულოს. ეკლესია ამბობს ,,დღე სიკვდილისა სჯობს დაბადებისას'', ცოცხალმა კაცმა ეს უნდა იცოდეს, როდესაც მიცვალებულის დაუჯდომელს ვკითხულობთ იქ ასეთი სიტყვებით წერია ,,სანამ ხორცში ვართ განშორებული ვართ უფლისაგან, სიკვდილი არის გზა მიმყვანებელი უფალთან'' და ბატონი ილია, დღეს ამ გზას შეუდგა. დავულოცოთ ეს გზა, ნათელში ამყოფოს ღმერთმა.

ნუგზარ ჯამბურია - ისღა დაგვრჩენია ბატონებო კიდევ ერთხელ, ღრმა მწუხარება გამოვთქვა და გულისტკივილით მოგისამძიმროთ, თანავუგრძნოთ ოჯახს და ახლობლებს. ცხადია დრო სუნთქვასავით სწრაფად გარბის. გისურვებთ, რომ ხვალინდელი დღე, მომავალი, ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის, ჩვენი ქვეყნისათვის ყოფილიყოს მშვიდობის და სიკეთის მომტანი. მადლობა თანადომისათვის.

დაადგინეს: ცნობად იქნა მიღებული, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ილია მჟავიას, უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი